აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№48 (24.928) სამშაბათი, 17 - 18 მაისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 15-20, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 761 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბელგიის სამეფოში გაემგზავრა. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ღარიბაშვილი მაღალი დონის ორმხრივ შეხვედრებს გამართავს ევროპულ საბჭოში, ევროკომისიასა და ევროპარლამენტში, ასევე - ნატოში. შეხვედრების ძირითადი განსახილველი საკითხები იქნება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დღის წესრიგი, ევროკომისიის კითხვართან დაკავშირებული საკითხები, ასევე - რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება.

* * *

საკმარისზე მეტი მარაგი არსებობს ფქვილის, ხორბლის მარაგიც არსებობს ქვეყანაში და სულ რაღაც ერთ თვეში, თვე-ნახევარში, ჩვენც ხორბლის მოსავალს ავიღებთ, შესაბამისად, არავითარი აჟიოტაჟის საფუძველი არ იყო, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე გუშინ განაცხადა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ქვეყანას დღეს ამ მიმართულებით პრობლემა არ აქვს. სხდომაზე პრემიერმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და ფინანსთა მინისტრებს, საწვავის ფასებთან დაკავშირებით, ბაზარზე არსებულ კომპანიებთან შეხვედრა დაავალა.

* * *

განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (K2) ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით გასაცემი მოსაკრებლის გადახდის ვადა 2025 წლის 1 იანვრამდე გადაიწევს. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებაზე დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა მეორე მოსმენით იმსჯელა. „ეს ერთგვარი ხელშეწყობა იქნება, რაც მშენებლობის თვალსაზრისით გაჩერებულ პროცესებს გააუმჯობესებს, რამდენადაც მათ დროულ დასრულებას მოქალაქეები ელოდებიან“, - განაცხადა მომხსენებელმა ბექა დავითულიანმა.

* * *

დღევანდელი სასამართლო გადაწყვეტილება გვარამიას, იაშვილისა და დამენიას საქმეებზე ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს ერთგულებას კანონის უზენაესობისადმი, - ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებაშია ნათქვამი. „როდესაც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავების უპრეცედენტო შესაძლებლობა აქვს, სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიზირებულად აღქმაც კი ზიანის მომტანია“, - აღნიშნულია მასში. გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლომ 3 წლით და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას. მოსამართლემ იგი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით - უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში.

მოამზადა
ია შველიძემ

რეგიონში ქალთა გაძლიერებისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება აჭარაში“ - მოქალაქეთა პირველ ელექტრონულ პეტიციასთან დაკავშირებით, აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც მხარეებმა პეტიციის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, ყურადღება გაამახვილეს ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტებში ქალთა სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების მიზნით განხორციელებულ თუ მომავალში დაგეგმილ ღონისძიებებზე. შეხვედრას ესწრებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი. ჯაბა ფუტკარაძემ მადლობა გადაუხადა ქალბატონებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული რეგიონის ეკონომიკური გაძლიერების პროცესში და დაჰპირდა, რომ სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს მათ მხარდასაჭერად.

- ყველა ის საგრანტო პროექტი, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, პრაქტიკულად, გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ქალ მეწარმეებს. ჩვენ გვაქვს არაერთი მნიშვნელოვანი პლატფორმა, რომელთა ფარგლებში ქალებს შეუძლიათ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება, უფრო მეტ პროექტში ჩართვა. ამის ერთ-ერთი მაგალითია პროექტები სოფლად განვითარების მიმართულებით, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს და იმ შემთხვევაში, თუ ქალი მეწარმის მიერ არის წარმოდგენილი პროექტი, მას მეტი ქულა და პრიორიტეტი ენიჭება. ასევე, არის სხვა პროგრამებიც, რომელსაც ცენტრალური მთავრობა ახორციელებს, მათ შორის, აწარმოე საქართველოში და ა.შ. საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ანალოგიური პროგრამა გვაქვს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს. ჩვენი სურვილია, აღნიშნული მიმართულება უფრო გავაძლიეროთ და მეტად ინტენსიური გავხადოთ. გამოწვევების საპასუხოდ, განსაკუთრებით შემოსავლების გათანაბრების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ უფრო მეტი ქალი ჩაერთოს ეკონომიკური დოვლათის წარმოქმნაში და ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ ტიპის ინიციატივას მხარს დავუჭერთ. ერთადერთი საკითხი, რაზეც მსურს გავამახვილო ყურადღება, არის ის, რომ მნიშვნელოვანია პირდაპირი წესით ქალი მეწარმეების დაფინანსება. ვიცი, რომ ძალიან ბევრი პროგრამა და პლატფორმა არსებობს, თუმცა ჩემი ხედვა და სურვილია, დაფინანსების მათთვის უშუალოდ გადაცემა და მე დარწმუნებული ვარ, რომ როდესაც იქნება ამ ტიპის შესაძლებლობები, ქალბატონები იპოვიან თავიანთ გზას. აქვე მინდა აღვნიშნო, ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი ფიზიკური რესურსი, გვყავს ძალიან ბევრი განათლებული, შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ქალბატონი და მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ ეს რესურსი, - განაცხადა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ.

შეხვედრის მნიშვნელობაზე ისაუბრა აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ. მარინე გვიანიძის თქმით, შეხვედრის მიზანია, მიზნობრივი პროგრამა, რომელიც რამდენიმე წელია აჭარის ორ მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ქედასა და შუახევში ხორციელდება, დანარჩენ მუნიციპალიტეტებშიც დაინერგოს, რითაც ქალბატონები შეძლებენ მათი იდეების განხორციელებას, მცირე ბიზნესის წამოწყებას, მეწარმეობას.

- შეხვედრაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რაც გაუღერდა, არის ის, რომ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლობამ თბილისიდან დაგვიდასტურა როგორც მორალური და ზოგადად ყველანაირი მხარდაჭერა, ასევე, ღიად განაცხადა, რომ რა თანხასაც გამოყოფს მუნიციპალიტეტი, ერთ იმდენს დამატებით თავად დააფინანსებს. გამოდის, რომ ქედასა და შუახევს, სადაც 15 ათასი ლარია გათვალისწინებული, 15 ათასი კიდევ გადაეცემა. ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა იყო იმ მხრივაც, რომ შუახევის და ქედის მაგალითზე დანარჩენი მუნიციპალიტეტების მერებმაც დაინახეს, თუ რა შეიძლება გააკეთონ თავიანთ მუნიციპალიტეტებში ქალების მხარდასაჭერად, მათი ეკონომიკური გაძლიერებისთვის. აღსანიშნავია, რომ გასული ათი წლის განმავლობაში გენდერული თანასწორობა და უფლებების დაცვა ისეთი აქტუალური თემაა, ყველა მუნიციპალიტეტის მერმა იცის, რომ ამ მხრივ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები და ეს ნაბიჯი იქნება აღნიშნული მიზნობრივი პროგრამის გაწერა ბიუჯეტში, - გვითხრა მარინა გვიანიძემ.

გაზეთ „აჭარასთან“ შუახევის მუნიციპალიტეტის პროგრამის „ქალთა სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება“ 2021 წლის გამარჯვებულმა ბენეფიციარმა თამუნა ქარცივაძემ ისაუბრა. მან პროგრამის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და თქვა, რომ გამარჯვებამ მისცა ძალიან დიდი სტიმული და შემართება, ნამუშევრები უფრო დახვეწილი და სასურველი გახადოს მომხმარებლებისთვის.

- გამომშრალი ყვავილებით კედლის დეკორაციებს ვამზადებ, ახლა უკვე სამკაულებსა და სხვადასხვა აქსესუარზე გადავედი. თავდაპირველად ეს იყო ჰობი, მაგრამ შემდეგ უფრო დავინტერესდი. ჩემი ნამუშევრებით დაინტერესდა საზოგადოებაც, გაიზარდა მოთხოვნა და მივხვდი, რომ ხელით ამ ყველაფერს ვერ მოვახერხებდი - ერთ ნამუშევარს, სრულყოფილი რომ გამოსულიყო, მაქსიმუმ სამ დღეს ვანდომებდი. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით საჭირო ტექნიკის შეძენის შესაძლებლობა მომეცა, რითაც უფრო დაიხვეწა ჩემი ნამუშევრები. წელსაც შეტანილი მაქვს განაცხადი, ამჯერად მსურს დამოუკიდებელი საიტი გავაკეთო, სადაც ჩემი ნამუშევრების დათვალიერება და შეძენა იქნება შესაძლებელი. არაერთ გამოფენაში ვმონაწილეობ როგორც შუახევში, ისე ბათუმში. ახლახან უკრაინელი ბავშვების დასახმარებელ მარათონში ჩავერთე, სადაც, ჩემდა გასაკვირად, საკმაოდ დიდი თანხა შევაგროვე. გამიხარდა, რომ შევძელი ჩემი წვლილის შეტანა ამ ყველაფერში. ძა-ლიან მინდა მქონდეს ჩემი მაღაზია, ასევე ექსპორტზე გასვლა არის ჩემი მიზანი. მინდა, ჩემი ნამუშევრები სხვადასხვა ქვეყანაშიც შეიძინონ, - აღნიშნა თამუნა ქარცივაძემ.

პეტიციის - „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“ ავტორის თამილა ფუტკარაძის თქმით, აღნიშნულის მიზანი ქალთა თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა და მათთვის ეკონომიკური მხარდაჭერაა, რათა ქალებს მიეცეთ შანსი, იდეა აქციონ რეალობად, ადგილზე წამოიწყონ საკუთარი საქმე, რომელიც მათი ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს გაზრდის.

- პეტიციის მიზანია ადგილობრივ დონეზე მეტი მეწარმე ქალის გაჩენა, ქალთა როლის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე, ერთ-ერთი მიზანია სოფლად დაწყებული მიგრაციის შეჩერება. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. ჩემი სურვილია, როგორც აჭარის რეგიონში, ასევე მთელ საქართველოში, მეტი ძლიერი და წარმატებული ქალი გვყავდეს, - გვითხრა თამილა ფუტკარაძემ.

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

რა შესრულდა და რა - ვერა ღია მმართველობის საბჭოს მიერ აღებული ვალდებულებებიდან?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

სასტუმრო „ჰილტონში“ გამართულ შეხვედრაზე ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშის პროექტით უმაღლესი საბჭოსა და ღია მმართველობის საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე წარსდგა, რომელმაც აღნიშნული საბჭოს დებულებაში შესატან ცვლილებებსა და ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხებზე გაამახვილა ყურადღება

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ღია მმართველობის საბჭოსა და მასთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს ერთობლივ შეხვედრაზე რამდენიმე საკითხია განხილული. მათგან მნიშვნელოვანია უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს დებულებაში ცვლილება. აგრეთვე, ნაწილობრივ გადახალისდა ის საკონსულტაციო საბჭო, რომელიც ღია მმართველობის საბჭოსთან არსებობს და დაემატა საკონსულტაციო საბჭოს რამდენიმე წევრი. ვფიქრობ, მთავარია ის, რომ განვიხილეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ღია მმართველობის საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. ამ ანგარიშის დამტკიცებაზე ახლა ვმსჯელობთ, იგი გაგრძელდება და მგონია, რომ დამტკიცდება კიდეც. აქვე მინდა გითხრათ, მიხარია, რომ ღია მმართველობის საბჭოს მიერ აღებული ვალდებულებების, რომელიც არასამთავრობო სექტორის ჩართულობით ავიღეთ, ძირითადი ნაწილი შესრულებულია სრულად, ან არსებითად, ხოლო დანარჩენ ნაწილზე გრძელდება მუშაობა. ის, რაც ვერ შესრულდა, დაკავშირებულია ფინანსურ რესურსებთან და ვცდილობთ, მომავალ წელს, გარდამავალი პროექტების სახით, ეს ვალდებულებებიც შევასრულოთ. მაგალითად, შემიძლია მოვიყვანო უმაღლესი საბჭოს შენობის ადაპტირება, რომელიც უკვე დაიწყება მომდევნო წლის საბიუჯეტო სახსრებით, გათვალისწინებული იქნება უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტში და დასრულდება 2024 წელს, - განაცხადა დავით გაბაიძემ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს მუშაობა დადებითად შეაფასა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელმა დავით მაისურაძემ და დასძინა, რომ იმედოვნებს, მომავალში აჭარის საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში სამოქალაქო ჩართულობის უფრო მეტი მაგალითი იქნება.

- აჭარის უმაღლესმა საბჭომ დაახლოებით ორი წლის წინ დაიწყო ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპების დანერგვა აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში და ზოგადად, აჭარის რეგიონში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროისთვის „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“, ზოგადად, აჭარის უმაღლესი საბჭოს და ღია მმართველობის საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებით, პროცესი არის წარმატებული. შესრულებულია სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ვალდებულებების თითქმის ნახევარი, დანარჩენი ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი კი ინდივიდუალურად, მნიშვნელოვანწილად არის შესრულებული. ბუნებრივია, ეს იყო ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპების დანერგვის პირველი მცდელობა და, რა თქმა უნდა, ამ პროცესში რჩება გამოწვევები, ასევე, რჩება რეკომენდაციები არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. უმაღლესი საბჭოს ძირითადი მიღწევა და დადებითი შედეგი არის ის, რომ პროცესი არის მდგრადი და გრძელდება. წელს აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭო გეგმავს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რაშიც, ვიმედოვნებთ, უფრო ამბიციური და შედეგზე ორიენტირებული ვალდებულებები იქნება გათვალისწინებული, - განაცხადა დავით მაისურაძემ.

როდის დაიწყება ძველი კორპუსების ახლით ჩანაცვლება?

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ბათუმის მერიაში ორი ტენდერი გამოცხადდა, რომელიც მიზნად ისახავს ოთხი ავარიული სახლის დემონტაჟსა და ახალი კორპუსების მშენებლობას

ლევან სამხარაულის ექსპერტებმა გიორგი კვინიტაძის ქუჩის №1, №3 და №11-ში, ასევე გრიშაშვილის №9-ში მდებარე კორპუსების მდგომარეობა შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ აქ ცხოვრება საფრთხის შემცველია, დემონტაჟი კი გარდაუვალი. სატენდერო პირობების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოები გამარჯვებულმა კომპანიამ მიმდინარე წლის ზაფხულში უნდა დაიწყოს, მშენებლობა კი 2023 წელს დასრულდეს.

როგორც ცნობილია, საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოში ოთხივე კორპუსის მშენებლობისთვის დაახლოებით 14 მილიონამდე დაიხარჯება.

მშენებლობის დასრულებამდე ავარიულ სახლებში მცხოვრებ ოჯახებს ბათუმის მერია დროებით უსაფრთხო ადგილას ქირით გაიყვანს.

- მიმდინარე წლის 28 მარტს გამოცხადდა ორი სახელმწიფო შესყიდვა, ტენდერებში წინადადებების მიღება კი 18 აპრილს დასრულდა. პრეტენდენტიც შერჩეულია, თითოეულ ტენდერში 7 მილიონი ლარი დაიხარჯება, - აღნიშნა საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს დირექტორმა აკაკი ბერიძემ.

პარლამენტი შინაური ცხოველების შესახებ კანონპროექტზე მუშაობს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონის პროექტთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც კანონმდებლებსა და აპარატის წევრებთან ერთად, თბილისის მერიის და საკრებულოს, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ

„აქტიური განხილვა დავიწყეთ „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონპროექტის, რომლის თანაავტორი კომიტეტთან ერთად არის თბილისის მერია. ეს არის კანონპროექტი, რომელიც კომპლექსურად და სისტემურად დაარეგულირებს შინაური ბინადარი ცხოველების ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მართვის საკითხებს. კანონპროექტში ძალიან ბევრი სიახლეა, მათ შორის, მეპატრონეების და, ასევე, მუნიციპალიტეტების ვალდებულებები. ახლა ვიწყებთ პროცესს, სადაც სამოქალაქო სექტორის ჩართულობას გავააქტიურებთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტის დამუშავების პროცესში ჩართულია როგორც მმართველი პარტია, ასევე ოპოზიციური მხარე“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძემ.

შეხვედრის მონაწილეებმა კანონპროექტის პრეზენტაციის პარალელურად, კანონპროექტის მიზნებზე, ძირითად პრინციპებსა და მნიშვნელოვან სისტემურ ცვლილებებზე იმსჯელეს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, კანონპროექტის მიზანი შინაურ ბინადარ ცხოველთა მოვლა-პატრონობისათვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნაა.

კანონპროექტთან დაკავშირებით კომიტეტი შეხვედრებს გეგმავს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ ყველა მხარესთან, რის შემდეგაც მოხდება კანონპროექტის ინიცირება.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

აჭარაში ლატვიელი, ლიეტუველი და ესტონელი ჟურნალისტები იმყოფებოდნენ. მათ ორი დღის განმავლობაში რეგიონის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერეს და ადგილობრივ ტრადიციებს გაეცნენ. მედიატურის ფარგლებში, მოინახულეს ბათუმის ბოტანიკური ბაღი, პეტრასა და გონიო-აფსაროსის ციხესიმაგრეები, ასევე, მახუნცეთის ჩანჩქერი. დღის ბოლოს ქართული კერძებიც დააგემოვნეს. რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით, ჟურნალისტები აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ ვიდეორგოლებსა და სტატიებს მოამზადებენ. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს წლის ბოლომდე 30-მდე მსგავსი მედიატური აქვს დაგეგმილი.

* * *

სასკოლო ხელბურთის პროგრამის ფარგლებში, სპორტის 145 მასწავლებელს ხელბურთის სკოლის მასწავლებლის კატეგორია მიენიჭა. სპორტის მასწავლებლებმა, სასკოლო ხელბურთის მოდულის მიხედვით, გადამზადების კურსი გაიარეს, რის შედეგადაც მათ უფლება მიეცათ, უხელმძღვანელონ სასკოლო წრეებს. კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები პედაგოგებს განათლების სამინისტროში გადაეცათ.

* * *

ბათუმის „დინამოს“ 12-წლამდელთა გუნდი საერთაშორისო ტურნირის - კაუნასის საფეხბურთო ფესტივალის ჩემპიონია. გადამწყვეტ შეხვედრაში ბათუმელებმა ლიეტუვას „გარლიავა“ დიდი ანგარიშით 4:1 დაამარცხეს და ტურნირის თასი აღმართეს. ვაშაყმაძემ და თედორაძემ მატჩში დუბლი გაიტანეს. საჩემპიონო გზაზე ბათუმის „დინამომ“ ადგილობრივი „კაუნასის“ „ჟალგირისი“ - 3:0, „კლაიპედი“ - 3:1 და ლიეტუვის „დაუგავპილსი“ 5:1 დაამარცხა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი ირაკლი თედორაძე გახდა, საუკეთესო მეკარის ჯილდო კი ნიკოლოზ ჯიჯავაძეს ერგო.

* * *

ბათუმის საკალათბურთო კლუბმა „სუპერლიგის“ ნახევარფინალური სერიის მეორე შეხვედრაც დათმო. ქუთაისის სპორტის სასახლეში გამართული მატჩი ბუბა ბერიშვილის გუნდმა „ქუთაისთან“ ამჯერადაც ოვერტაიმში, ანგარიშით 96:90 წააგო. სერიის მეორე დაპირისპირების ძირითადი დრო ფრედ 77:77 დასრულდა. ბათუმელთა რიგებიდან კაილი რიდლიმ 22 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა, ბექა ბექაურმა კი 18 ქულა, 9 მოხსნა, 1 გადაცემა და 1 დაფარება ჩაიწერა აქტივში. სერიის მესამე დაპირისპირებას 17 მაისს ბათუმი უმასპინძლებს. მატჩი ბათუმის სპორტის სასახლეში 18:00 საათზე დაიწყება. დებულების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, სერიაში დამატებითი მატჩები დაინიშნება, თუკი ერთ-ერთ გუნდს 3 მოგება არ დაუგროვდება.

* * *

აჭარის მუზეუმის გალერეა საიუბილეო გამოფენას მასპინძლობს - ექსპოზიცია ფოტოგრაფ ზაალ შენგელიას საიუბილეო თარიღს უკავშირდება, რომელზეც წარმოდგენილია სხვადასხვა თაობის ცნობილი ბათუმელების პორტრეტები, რომლებიც ქმნიდნენ და დღესაც ქმნიან ქალაქის ისტორიას. ზაალ შენგელიას 75 წელი შეუსრულდა და 50 წელია რაც ფოტოგრაფია. მსურველებს პორტრეტების ნახვა 17 მაისის ჩათვლით შეეძლებათ.

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

ოკუპირებულ ცხინვალში რუსეთთან მიერთებაზე „რეფერენდუმი“ დაინიშნა

ოკუპირებული ცხინვალის ჯერ კიდევ მოქმედმა ე. წ. პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა, არჩევნებში დამარცხების შემდეგ, რუსეთთან შეერთების საკითხზე წინასაარჩევნოდ დაანონსებული რეფერენდუმი ოფიციალურად დანიშნა. მან 13 მაისს ხელი მოაწერა განკარგულებას რეფერენდუმის 17 ივლისს ჩატარების შესახებ



„ჩვენ გადავდგით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი - მივდივართ სახლში, მივდივართ რუსეთში. სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის გაერთიანების შესახებ რეფერენდუმი 2022 წლის 17 ივლისს გაიმართება. ჩემთვის დიდი პატივია და საამყოა, რომ ამ პროცესის მონაწილე ვარ. როგორც მოქალაქემ და როგორც პრეზიდენტმა ჩემი ხალხის წინაშე ჩემი სიტყვა შევასრულე“, - განახადა ანატოლი ბიბილოვმა ბრძანების ხელმოწერის შემდეგ.

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ახლად არჩეული პრეზიდენტი, პარტია „ნიხასის“ ლიდერი ალან გაგლოევი, რომლის ინაუგურაცია 24 მაისს გაიმართება, ბიბილოვის მიერ რუსეთთან შეერთების შესახებ რეფერენდუმის თარიღის დანიშვნას ამ დღეებში გამოეხმაურა და ის გააკრიტიკა.

„მე, როგორც ჩემი სამშობლოს შვილი და ხალხის მიერ არჩეული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, სრულად ვუჭერ მხარს გაყოფილი ოსი ხალხის გაერთიანების იდეას ერთიანი რუსეთის შემადგენლობაში. სხვა საკითხია, დადგა თუ არა ახლა ის ისტორიული მომენტი, როდესაც აუცილებელია რეფერენდუმის შესახებ განკარგულების გამოცემა და მისი ჩატარების დაჩქარება“, - განაცხადა გაგლოევმა. მან ეჭვი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, ბიბილოვმა შეათანხმა თუ არა გადაწყვეტილება რუსეთთან. ორმხრივი შეთანხმებების არარსებობა, მისივე თქმით, რუსეთის მიზნებს საფრთხეს შეუქმნის. „ვისაც დაავიწყდა, შეგახსენებთ, რომ 2014 წელს, რუსეთთან შეთანხმების გარეშე, ლუგანსკის და დონეცკის სახალხო რესპუბლიკებში გაერთიანების შესახებ რეფერენდუმები გაიმართა. გავიდა რვა წელი და ჩვენ ვხედავთ, რომ მათ ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს მიზანს“. გაგლოევმა უკმაყოფილება გამოხატა იმის გამოც, რომ საკითხი არ იყო მასთან შეთანხმებული. ის აცხადებს, რომ ე. წ. რეფერენდუმის ჩატარებამდე გამართავს კონსულტაციებს რუსეთის ხელისუფლებასთან. „ჩვენი რესპუბლიკის ყველა პრეზიდენტი ამბობდა, რომ ჩვენი ვექტორი რუსეთთან მაქსიმალური ინტეგრაციაა. ამასთანავე, ჩვენ გვესმის, რომ ეს ცალმხრივი პროცესი არაა. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი - რუსეთის ფედერაცია - გეოპოლიტიკური საკითხებითაა დაკავებული, ატარებს სპეციალურ ოპერაციას უკრაინაში და ნეონაცისტურ ფორმირებებს ანადგურებს. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის უნდა გვესმოდეს. როგორც კი იქნება სიგნალი, რომ ამის დრო დადგა - რეფერენდუმს აუცილებლად ჩავატარებთ“, - განაცხადა გაგლოევმა.

ოკუპირებულ ცხინვალში რეფერენდუმის ჩატარების საკითხზე პოზიცია დააფიქსირა პარტია „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე პაატა დავითაიამ. მისი თქმით, აღნიშნული არის ღია გზავნილი რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რომ იწყებს ჩვენი ქვეყნის ანექსიას და ელოდება უკრაინაში მის მიერ წარმოებული სასტიკი ომის შედეგებს. დავითაია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, სასწრაფოდ გადადგას ნაბიჯები სეპარატისტთა ლიდერების მიმართ.

- მას შემდეგ, რაც ბიბილოვი დამარცხდა ეგრეთ წოდებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, მან წინასაარჩევნო პერიოდში დაანონსებული რუსეთთან შეერთების საკითხი დააჩქარა. როგორც ცნობილია, დოკუმენტები უკვე მომზადებულია. რეფერენდუმზე, რომელიც დანიშნულია 17 ივლისს, გაფორმებული იქნება ხელმოწერა უკვე ოკუპირებული ცხინვალის ახალი მარიონეტი პრეზიდენტის გაგლოევის და პუტინის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციასთან მიერთებაზე, რაც არის ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის უხეში დარღვევა. მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, სასწრაფოდ გადადგას ნაბიჯები სეპარატისტთა ლიდერების მიმართ, რასაც დიდი ხანია ვაყენებ დღის წესრიგში. სეპარატისტების ლიდერებზე უნდა გამოცხადდეს ძებნა, რაც ხელს შეუშლის სეპარატისტების და რუსეთის ფედერაციის გეგმებს. უფრო აქტიურად და ღიად უნდა დაიწყოს საუბარი ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, რომ მზადდება ჩვენი ქვეყნის ანექსია. დღეს დუმილის და იგნორირების პოლიტიკა მოქმედებს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ და მიგვიყვანს მძიმე შედეგებამდე. ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს არსებული საფრთხე და გაატაროს აქტიური ღონისძიებები სეპარტისტების ლიდერების წინააღმდეგ“, - აცხადებს პაატა დავითაია.

„ალან გაგლოევი არ იჩქარებს რეფერენდუმის ჩატარებას“, - ასეთია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის, ევრაზიის ინტეგრაციისა და თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ კალაშნიკოვის პოზიცია. რეფერენდუმს რუსეთისთვის, ამ ეტაპზე, უადგილოს უწოდებს დსთ-ის საკითხებში სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე კონსტანტინ ზატულინიც და ამბობს, რომ ბიბილოვის ქმედება, ამავდროულად, არც კორექტულია: „თუ შენ არჩევნები წააგე, რეფერენდუმი ახალარჩეულმა პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს“.

მარტში ოფიციალურმა თბილისმა ცხინვალის მიერ დაანონსებული რეფერენდუმი დაგმო და განაცხადა, რომ „მიუღებელია ყოველგვარ რეფერენდუმებზე საუბარი იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ტერიტორია არის ოკუპირებული“. 9 მაისს გავრცელებული განცხადებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართა საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადოდ შეაფასოს და ქმედითი რეაგირება მოახდინოს ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ მორიგ უკანონო ქმედებაზე. ევროკავშირში გაკეთდა განცხადება, რომ იგი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულ საზღვრებში. „ევროკავშირი განაგრძობს არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკას, მათ შორის, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით“, - განაცხადა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით ევროკავშირის მთავარმა პრესსპიკერმა პიტერ სტანომ. ცნობილია, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ნედ პრაისმა 31 მარტს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ არც ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას და არც რუსეთის ხელისუფლებას არ აქვს უფლება, გადაწყვეტილებები მიიღოს სამხრეთ ოსეთის შესახებ, რომელიც საქართველოს ნაწილია.

„ისევე, როგორც აშშ არ აღიარებს 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო დაპყრობას და ანექსიას და ისევე, როგორც ჩვენ არ ვაღიარეთ კრემლის ცინიკური მცდელობა, რომ ეღიარებინა ე. წ. დონეცკის და ლუგანსკის დამოუკიდებლობა, სანამ უკრაინაზე არაპროვოცირებულ შეტევას დაიწყებდა, ასევე არ ვაღიარებთ რუსეთის ან მისი მარიონეტების ნებისმიერი მცდელობის შედეგებს, რომ დაყონ სუვერენული საქართველოს ტერიტორია“, - განაცხადა ნედ პრაისმა და დასძინა: „კიდევ ერთხელ ვადასტურებთ მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“.

ოკუპირებული რეგიონის რუსეთთან მიერთების საკითხზე დაგეგმილ რეფერენდუმს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობის შედეგს უწოდებს საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხელმძღვანელი ირაკლი კობახიძე. მისი თქმით, „საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას მკაფიო პოლიტიკა აქვს და არ აღიარებს არც დე ფაქტო ხელისუფლებას, არც დე ფაქტო არჩევნებს, არც დე ფაქტო რეფერენდუმს“.

მოსკოვმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარა. დღემდე მათი დამოუკიდებლობა მხოლოდ ვენესუელამ, ნაურუმ, ნიკარაგუამ და სირიამ ცნეს.

მოამზადა
ია შველიძემ

„პარტნიორები აქტიურად უჭერენ მხარს ევროპულ ოჯახში ჩვენს შემდგომ ინტეგრაციას“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილის განცხადებით, ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს ფარგლებში კოლეგა მინისტრებთან გამართული შეხვედრები დამატებით იმპულსს სძენს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას იმ მხარდამჭერი გზავნილების ფონზე, რომლებსაც პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები საქართველოს მისამართით აყდერებენ. როგორც დარჩიაშვილმა აღნიშნა, „ორმხრივ ფორმატებში პარტნიორები ღიად და თავისუფლად საუბრობენ ჩვენი ქვეყნის ევროპული პერსპექტივის მნიშვნელობაზე და აქტიურად უჭერენ მხარს ევროპულ ოჯახში ჩვენს შემდგომ ინტეგრაციას“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრმა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს აუცილებლად დაუფასდება ბოლო წლების განმავლობაში მიღწეული პროგრესი. ამ კონტექსტში, მან „ტრიოს ფორმატის“ (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) ერთიანობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „სამივე ქვეყანასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ერთდროულად მიღების შემთხვევაში, ეს იქნება სიგნალი, რომ ტრიოს ქვეყნებმა ერთად უნდა განაგრძონ სვლა ევროინტეგრაციის გზაზე და რომ ტრიოს ერთიანობა მოცემულ მომენტში ძალიან მნიშვნელოვანია“.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, საქართველოს ორი მთავარი საგარეო პრიორიტეტი აქვს: „ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია და დღეს, როდესაც ქვეყანა ამ პროცესის უმნიშვნელოვანეს ფაზაში იმყოფება, ბრიუსელში პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაციის ვიზიტი და ევროკომისიასა და ევროპარლამენტში, ასევე ნატოს შტაბბინაში გამართული ინდივიდუალური შეხვედრები განსაკუთრებულ შინაარსობრივ დატვირთვას იძენს“,- აღნიშნა მან.

შეგახსენებთ, რომ გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელს ეწვია. ის შეხვედრებს მართავს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან, რომლებიც ბრიუსელში ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს ფარგლებში იკრიბებიან. შეხვედრებზე ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგი, ქართული მხარის მიერ შევსებული ევროკომისიის კითხვართან დაკავშირებული საკითხები, ასევე რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება განიხილება.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანება იქნება მორიგი მძიმე შეცდომა შორსმიმავალი შედეგებით, - ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვმა განაცხადა. „სამხედრო დაძაბულობის საერთო დონე გაიზრდება, პროგნოზირება ამ სფეროში შემცირდება. სამწუხაროა, რომ საღი აზრი ეწირება რაღაც ფანტომურ წარმოდგენებს იმასთან დაკავშირებით, რაც საჭიროა, გაკეთდეს შექმნილ სიტუაციაში“, - აღნიშნა რიაბკოვმა. რუსეთის მიერ უკრაინაში ფართომასშტაბიანი შეჭრის შემდეგ ფინეთმა და შვედეთმა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სურვილი გამოთქვეს.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი დარწმუნებულია, რომ სუვერენული და დამოუკიდებელი უკრაინა სიტუაციას გაუძლებს. მისივე თქმით, აშშ უკრაინის მხარდაჭერით, ასევე, იცავს სუვერენულობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებს. „პრეზიდენტმა პუტინმა წამოიწყო ეს სასტიკი და არაპროვოცირებული ომი იმ იმედით, რომ შეეძლო უკრაინის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის განადგურება და ნატოს გახლეჩა. ამის ნაცვლად მან მხოლოდ გააძლიერა უკრაინის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. ნატო უფრო ძლიერი, უნარიანი და ერთიანია, ვიდრე ოდესმე“, - განაცხადა ბლინკენმა.

* * *

თუ ომი გაიწელება, 10-დან 9 უკრაინელი აღმოჩნდება სიღარიბის ზღვარს მიღმა და საფრთხე შეექმნება თითქმის 2 ათწლეულის განმავლობაში მიღწეულ წარმატებას განვითარების კუთხით, - აღნიშნულის თაობაზე საუბარია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განცხადებაში, რომელიც ამ დღეებში გავრცელდა. იქვე ხაზგასმულია, რომ უკრაინის ხელისუფლების მონაცემებით, უკვე განადგურებულია ინფრასტრუქტურა, კერძოდ: სახლები, გზები, ხიდები, საავადმყოფოები, სკოლები, რომელთა საერთო ღირებულება 100 მილიარდი დოლარია. გაეროს განცხადების თანახმად, ომის შედეგად უკრაინის წარმოების ნახევარი სრულად დაკეტილია, მეორე ნახევარს კი სირთულეები შეექმნა.

* * *

ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნები არ უნდა იყვნენ ნატოს მოკავშირეები, - განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ ბერლინში გამართული ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტზე. მისივე თქმით, თურქეთი ყოველთვის მხარს უჭერს ნატოს გაფართოების იდეას, მაგრამ წუხს ფინეთისა და შვედეთის ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ტერორისტულ დაჯგუფებებთან მათი ურთიერთობის გამო. მან სამიტის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია იმ მხარდაჭერის შესახებ, რომელსაც აღნიშნული ორი ქვეყანა „ქურთისტანის მუშათა პარტიას“ უწევს. „ფინეთმაც და შვედეთმაც უნდა შეწყვიტონ ტერორისტული ჯგუფების მხარდაჭერა და უზრუნველყონ უსაფრთხოების მკაფიო გარანტიები იმისთვის, რომ ნატოს წევრები გახდნენ“, - დასძინა ჩავუშოღლუმ. აღსანიშნავია, რომ „ქურთისტანის მუშათა პარტიას“ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებს აშშ-ცა და ევროკავშირიც.

**მოამზადა
ია შველიძემ**

არ გამოტოვოთ ეს შესაძლებლობა

აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა წლებია ემსახურება ქართული ფოლკლორის დაცვასა და განვითარებას, რომელიც ახალგაზრდებს არაერთი მიმართულებით საინტერესო პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. თუ რა პროგრამებს სთავაზობს სკოლა დაინტერესებულ პირებს და რა სიახლეებია დაგეგმილი, ამაზე დირექტორი ვახტანგ ბერიძე საუბრობს

- მინდა ყველა იმ პროგრამაზე გავამახვილო ყურადღება, რაც ჩვენს სკოლაში ხვდება მოსწავლეებს. ხალხური მუსიკის პროგრამის მიზანია ქართული სასიმღერო ფოლკლორის დაცვა, შენახვა, განვითარება. მან უმდიდრეს ქართული ტრადიციების მაგალითზე მოსწავლეს უნდა ასწავლოს სამოსის მხატვრული დამუშავება, ქარგვა, ქსოვა, ქართული სამკაულების დამზადება, ესკიზის შექმნა, ჩანახატების გაკეთება, თექის აქსესუარების დამზადება და ასე შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიურ, სახელმწიფო, მუნიციპალურ, თვითმოქმედ ანსამბლებსა თუ ჯგუფებში დასაქმებული მომღერლების და მოცეკვავეების დიდი ნაწილი ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულია. ჩვენ არამხოლოდ ცეკვას, სიმღერას და რეწვის სხვადასხვა მიმართულებებს ვასწავლით, არამედ ახალგაზრდებს ვეხმარებით შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებაში. სკოლაში სწავლა შეუძლია საბაზო განათლების მქონე ყველა დაინტერესებულ პირს. სწავლის ხანგრძლივობა ქორეოგრაფიისა და ხალხური მუსიკის მიმართულებით - ორწელ-ნახევარი, ხოლო ტრადიციული რეწვის მიმართულებით წელიწად-ნახევარი გრძელდება.

„წელს სკოლას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, კერძოდ 2022 წლის 18 აპრილს აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე, მისი 8 წევრის მხარდაჭერით, მიენიჭა უფლება, განახორციელოს მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების სამი პროგრამა.

ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობითა და თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად უნდა მოამზადოს ახალგაზრდები, რომლებსაც ეცოდინებათ ქართული სასიმღერო ფოლკლორი, ქართული გალობა და სხვადასხვა ხალხურ საკრავზე დაკვრა, შეეძლებათ ხალხური ნიმუშების აკომპანირება. პროგრამა უზრუნველყოფს სასიმღერო სფეროში საშემსრულებლო-შემოქმედებითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და მათ გამოყენებას შემდგომ შემოქმედებით საქმიანობაში.

პროგრამა - „ქორეოგრაფია“ მიზნად ისახავს ქორეოგრაფიული ხელოვნების ძირითადი პრინციპების და დისციპლინების შესწავლას, ქორეოგრაფიული შემსრულებლობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ქორეოგრაფიული ხელოვნების საფუძვლის, სამსახიობო უნარებისა და საორგანიზაციო საკითხების შესწავლას. „რეწვამ“ ნტრის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე, მისი 8 წევრის მხარდაჭერით, მიენიჭა უფლება, განახორციელოს მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების სამი პროგრამა. ესენია:

„ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“, „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორი/ქორეოგრაფი“, „თექის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადება“.

სწავლის დასრულების შემდეგ მსმენელები სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს მიიღებენ.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება, ჯერჯერობით, აჭარაში მოქმედ სახელოვნებო სკოლებს შორის მხოლოდ ჩვენ მოვიპოვეთ. ვაგრძელებთ მუშაობას კიდევ რამდენიმე პროგრამაზე უფლების მოსაპოვებლად.

პროფესიულ პროგრამებზე მსმენელების მიღებას სექტემბრიდან ვგეგმავთ. ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიზანია, სასკოლო და პროფესიული პროგრამების განხორციელებით, ხელი შევუწყოთ ნიჭიერ ახალგაზრდებს, მიიღონ განათლება და თავიანთი წვლილი შეიტანონ რეგიონის კულტურული ცხოვრების გააქტიურებაში.

„ქალბატონებო, მთავარია, შინაგანად ანათებდეთ“

დღეს, როცა სოციალური სივრცე უამრავი ვიდეოთია სავსე, სადაც ქალბატონებს გვირჩევენ, როგორ უნდა გამოვიყურებოდეთ, რომელი პარფიუმერული პროდუქცია გამოვიყენოთ და ასე შემდეგ, ხშირად ვიბნევით - სად გადის ზღვარი ნამდვილ რჩევასა და მარკეტინგულ ინტერესებს შორის. გოგონა, რომელიც ყოველთვის საინტერესო რჩევებს გვაძლევს ქალბატონებს, ბათუმელი ვიზაჟისტი ***მაგდა გუბაევია****. იგი გვიყვება, რატომ დაინტერესდა აღნიშნული მიმართულებით*

- იყო კარგი ვიზაჟისტი, ნიშნავს, ფლობდე არაერთ ხრიკს ადამიანის უფრო მიმზიდველად წარმოსაჩენად.

- ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზეზი ამ პროფესიის არჩევისას იყო მომენტი, როდესაც დავინახე, გაოცებული თვალებით როგორ უყურებდა ქალბატონი თავის თავს სარკეში - „ნუთუ ეს მე ვარ?“ საოცარი შეგრძნებაა, როდესაც შენი შრომა მატებს პიროვნებას თავდაჯერებულობას, უნათებს თვალებს და ღიმილს ჰფენს სახეზე, ასეთ დროს უბედნიერესი ვარ მეც და ორმაგად მიყვარდება ჩემი საქმე... როგორც პატარა გოგონების უმეტესობა, პირველად მეც დედაჩემის კოსმეტიკით „ვიკეთებდი მაკიაჟს“, ვიპრანჭებოდი, შემდეგ დავიწყე მეგობრების, ჩემი თანატოლების გალამაზება. 5 წლის წინ გადავწყვიტე, ეს საქმე შემესწავლა და არამარტო გატაცებად, არამედ პროფესიად მექცია, პროფესიად, რომელიც უზომოდ მიყვარს.

- თითოეულ ადამიანს, რომელიც ცდილობს რაიმეს გარდაქმნას, სჭირდება ინსპირაცია. თქვენთვის რა ან ვინ არის შთაგონების წყარო?

- ხშირ შემთხვევაში, კლიენტი მაძლევს უდიდეს ინსპირაციას. ვფიქრობ, კარგი ვიზაჟისტი ცოტათი ფსიქოლოგიც უნდა იყოს. ძალიან მნიშვნელოვანია, იგრძნო კლიენტის განწყობა, გაუკეთო მისთვის შესაფერისი მაკიაჟი და დამუხტო დადებითი ენერგიით. ძალიან მიყვარს ბუნებრივი, ე.წ ნუდი მაკიაჟის კეთება, რომელიც თითქოს შეუმჩნეველია და ამავე დროს, მთელ ყურადღებას იზიდავს სახისკენ, ასევე, ჰოლივუდის მაკიჟი, რომელიც საუკეთესო არჩევანია საღამოს წვეულებისათვის.

- მომხმარებლის ნდობა რომ მოიპოვო...

- როგორც ყველაფერში, ასევე ჩემს პროფესიაშიც გულწრფელობას და ერთგულებას ყველაზე მნიშვნელოვან თვისებად ვთვლი, რომელსაც მოაქვს უპირობო ნდობა.

- არაჩვეულებრივად გამოიყურებით, როგორია თქვენეული სილამაზის ფორმულა?

- ლამაზი, პირველ რიგში, მოვლილი ადამიანია. მოვლას ხშირად საოცარ თანხებთან აკავშირებენ, მაგრამ აქ შინაგან მდგომარეობაზეა საუბარი. სულ სხვანაირად გამოიყურები და გრძნობ თავს, როდესაც თავის მოვლის ყოველდღიურ რუტინას ასრულებ. არ მინდა ბანალური ვიყო, მაგრამ ჩემთვის ეს არის სილამაზის ფორმულა - გარეგნობა+შინაგანი ნათება+ დადებითი ძლიერი ენერგეტიკა.

- როგორია თანამედროვე ტენდენციები, რა ტიპის მაკიაჟს ექცევა უპირატესობა?

- მთავარი ტენდენცია დღეს არის მაქსიმალურად ბუნებრივი მაკიაჟი, მაგრამ ჩემთვის ყოველთვის იქნება ტრენდული ის, რაც გვიხდება და თავდაჯერებულობას გვმატებს. ქალბატონებო, იყავით მზად ექსპერიმენტებისთვის და ჩვენ, ვიზაჟისტები ყოველთვის დიდი სიამოვნებითა და სიხარულით დაგეხმარებით ნებისმიერი იდეის განხორციელებაში. აუცილებლად დაუთმეთ დრო საკუთარ თავს, იცხოვრეთ ჯანსაღი ცხოვრების წესით და დამერწმუნეთ, აუცილებლად იქნებით მშვენიერები და სასურველები. მთავარია, შინაგანად ანათებდეთ.

ფესტივალს მაღალმთიანი აჭარა მეათედ უმასპინძლებს

საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ აჭარის მთიან მუნიციპალიტეტებში (შუახევი, ხულო) წელს მეათედ ჩატარდება. ფესტივალის მრგვალ თარიღთან დაკავშირებით დაგეგმილია წიგნის „ათი მწერლის თვალით დანახული ფესტივალის ისტორია“ გამოცემა, ვიდეოების მომზადება, ასევე, 15 გამომცემლობა მოაწყობს წიგნის გამოფენა-გაყიდვას და მოსახლეობას ახალ გამოცემებს დაბალ ფასებში შესთავაზებს.

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება ხუთი საჯარო ლექცია. ღონისძიებას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრების გარდა, უცხოელებიც დაესწრებიან. 2022 წლის ფესტივალის ძირითადი პროგრამა „ომისა და მშვიდობის“ თემატიკას მიეძღვნება.

- ფესტივალი განსაკუთრებულ როლს თამაშობს აჭარაში საფესტივალო კულტურის დამკვიდრებაში, კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, წიგნიერების ამაღლებაში. ტრადიციულად, ღონისძიების დღეები დატვირთულია შემოქმედებითი და შემეცნებითი აქტივობებით, რაც ინდივიდუალიზმსა და ემოციურ ფასეულობებს სძენს მას. ფესტივალი აღსავსე იქნება სასიამოვნო სიურპრიზებითა და სიახ-ლეებით. მოუთმენლად ველოდებით ჩვენს ტრადიციულ მასპინძლებთან შეხვედრას. სრულ პროგრამას საზოგადოებას მალე დეტალურად ვამცნობთ, - გვითხრა ფესტივალის „ზე-კართან“ დამფუძნებელმა ვახტანგ ბერიძემ.

გვერდი მოამზადა
ნანა აბულაძემ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

1949 წელს, ბათუმის ბულვარის ცენტრალურ ნაწილში დაიდგა ულურსმნოდ ნაშენები ხის უნიკალური ნაგებობა, რომელშიც წარმოდგენები და კონცერტები იმართებოდა. ეს იყო ბაროკოს სტილში შესრულებული საზაფხულო თეატრი, რომელიც არქიტექტორების კახა ჯავახიშვილისა და ბოგდან კირაკოსიანის პროექტით აშენდა. იგი 590 მაყურებელს იტევდა, დღეს უკვე 1100-ს. შენობის შიდა ჭერის იმ დროისათვის განსაკუთრებულად მიმზიდველი მოხატულობა მხატვარ გიორგი ხალატოვს ეკუთვნოდა, მომდევნო წლებში მას რესტავრირება ჩაუტარა ცნობილმა ბათუმელმა მხატვარმა ანტონ ფილიპოვმა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე თეატრის შენობა 1998 წელს დაიწვა და სრულად განადგურდა. 2013 წელს საზაფხულო თეატრის ანალოგი პირვანდელ ადგილზე დაუბრუნდა ქალაქს და ჩაება კულტურულ ცხოვრებაში. ახალი თეატრი, ძველის შტრიხების გათვალისწინებით, არქიტექტორ გოჩა გარუჩავას პროექტით აიგო. სამ წელიწადში თეატრს რესტავრაცია დასჭირდა..

საზაფხულო თეატრის რეაბილიტაცია უკვე დასრულდა და იგი უახლოეს დღეებში უმასპინძლებს კულტურულ ღონისძიებებს. რეაბილიტაციის ფარგლებში განახლდა თეატრის ინტერიერი, განათებისა და გახმოვანების სისტემები, მოწესრიგდა შენობის ფასადი, თეატრის ტერიტორიაზე დამონტაჟდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემა.... პროექტის ღირებულებამ 500 ათასამდე ლარი შეადგინა.

ბათუმის კულტურის ცენტრის დირექტორის ირაკლი შაფათავას განცხადებით: „სრულად განახლდა ვიდეო უსაფრთხოების კამერები, შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე. შეიცვალა სცენის იატაკი. დაემატა ორი საგრიმიოორო ოთახი... ცენტრალური ფარდა, რომელზეც ხელნაკეთი ორნამენტია დატანებული, მხატვარმა გოგლა გოგიბერიძემ შექმნა. თეატრის რეაბილიტაციით მაყურებელმა მიიღო უკეთესი ინფრასტრუქტურა და შემოქმედებითმა კოლექტივებმა - გაუმჯობესებული სამუშაო პირობები. მთელი ზაფხულის განმავლობაში აქ უამრავი ღონისძიება გაიმართება. უკვე გაწერილია ღონისძიებების გეგმაც.“

„მსახიობებს, მომღერლებს, შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლებს მიეცემათ როგორც სრულფასოვანი რეპეტიციების, ასევე, საკონცერტო წარმოდგენების გამართვის შესაძლებლობა. საზაფხულო თეატრი არის ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი და სიამაყე. სულ მალე, როგორც ბათუმელები, ასევე ქალაქის სტუმრები შეძლებენ განახლებულ თეატრში, ახალ გარემოში საინტერესო თეატრალურ წარმოდგენებსა და კონცერტებზე დასწრებას“, - განაცხადა ქალაქის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, რომელიც საზაფხულო თეატრის გახსნაზე კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივის კონცერტს დაესწრო.

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲡᲐᲫᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲔ-6 ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔᲐ

ᲮᲐᲢᲘᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 555 18 48 88

საერთაშორისო ონლაინპლატფორმა BOARDROOM-ი საქართველოს საქმიანი ტურიზმის პოტენციალის შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს. ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, სტატია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროსა და BOARDROOM-ის თანამშრომლობით მომზადდა.

ჟურნალ BOARDROOM-ში დეტალურად აღწერილია ქვეყნის ტურისტული მიმართულება, იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. სტატია მკითხველს აცნობს საქართველოს საქმიანი ტურიზმის პოტენციალს. მასში საუბარია საქართველოში მდებარე იმ სასტუმროებსა და საგამოფენო სივრცეებზე, სადაც დიდი ზომის კონფერენციების, შეხვედრების, კონგრესებისა და ფორუმების ჩატარებაა შესაძლებელი.

„საქართველო ევროპაში ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად არის მიჩნეული, ხოლო მსოფლიოში მე-6 ადგილზეა უსაფრთხოების კუთხით. ყოველწლიურად ქვეყანაში 17 საერთაშორისო ასოციაციის ღონისძიება ეწყობა, რომელსაც საშუალოდ 400-500 დელეგატი ესწრება. საქართველოში ტურიზმი ზრდას განაგრძობს და ქვეყანა უფრო მეტ ბიზნესღონისძიებას იზიდავს. 2019 წელს თბილისმა მსოფლიო გიდების ასოციაციების მე-18 საერთაშორისო კონგრესს (WFTGA) უმასპინძლა. ღონისძიებას 70 ქვეყნიდან 300 გიდი და დელეგატი ესწრებოდა.

თბილისი ქვეყნის საკონვენციო ღონისძიებების ცენტრად არის მიჩნეული, მაგრამ კონფერენციების გასამართად ადგილის დამკვიდრებას სხვა ქალაქებიც იწყებენ, მაგალითად ბათუმში 2023 წელს „World Travel Awards“-ის დაჯილდოების ცერემონია გაიმართება. საერთაშორისო ღონისძიებებს სასტუმროები მასპინძლობენ, 2024 წლისთვის ბათუმში კიდევ 6 ახალი სასტუმრო გაიხსნება. ბათუმმა უკვე უმასპინძლა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციას. ღონისძიებაში ევროკავშირისა და 6 პარტნიორი ქვეყნის ბიზნესმენები მონაწილეობდნენ“, - წერს BOARDROOM-ი საქართველოს შესახებ.

საკონვენციო მიმართულების საერთაშორისო ჟურნალი და ონლაინპლატფორმა BOARDROOM-ი და აერთიანებს 100 000-ზე მეტ ასოციაციას, საკონვენციო ბიუროს, ღონისძიების ორგანიზატორ კომპანიას და ინდუსტრიის შესაბამის წარმომადგენლებს.

ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ – ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲩᲔᲗ ᲡᲘᲧᲕᲘᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ

ინფექციონისტი მაია ბუწაშვილი ბავშვებში გავრცელებულ დაავადებაზე საუბრობს, რომელიც, შესაძლოა, კოვიდის აქამდე ცნობილი ერთ-ერთი გართულების გამოვლინება იყოს.

ბუწაშვილი მშობლებს მიმართავს, ყურადღება მიაქციონ ბავშვებში სიყვითლის გამოვლინებას.

„ბოლო ხანებში დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვებში ახალი, გაურკვეველი წარმოშობის მწვავე ჰეპატიტის შემთხვევებს, რომლებიც დაფიქსირდა აშშ-ში და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. შემთხვევათა რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს. ასაკი 1-დან 16 წლამდე მერყეობს.

სიმპტომები, ჩვეულებრივ, მწვავე ჰეპატიტისთვის დამახასიათებელია: კანის და თვალის სკლერების სიყვითლე, საჭმლის მომნელებელი სისტემის მხრივ სიმპტომები, ღვიძლის ფუნქციების მკვეთრი მომატება. ტემპერატურა, როგორც წესი, ნორმალურია.

შემთხვევათა 90%-ზე მეტს სჭირდება ჰოსპიტალიზაცია. 10%-ზე მეტ შემთხვევებში დაავადება მძიმედ მიმდინარეობს და საჭირო ხდება ღვიძლის გადანერგვა. ნაწილი განკურნებით მთავრდება.

ჰეპატიტის მქონე ბავშვებში არ დასტურდება აქამდე ცნობილი არცერთი ჰეპატიტის ვირუსი (A,B,C,D,E). დიდ ნაწილში გამოვლინდა ადენოვირუსის ერთ-ერთი ტიპი (ტიპი 41), ხოლო გარკვეულ ნაწილს დაესვა კოვიდის დიაგნოზი, ან ჰქონდათ ახლად გადატანილი კოვიდი. ზოგიერთს ერთდროულად აღენიშნებოდა ადენოვირუსული ინფექცია და კოვიდი.

არსებობს მოსაზრება, რომ ჰეპატიტის ეს ახალი ფორმა, შესაძლოა, ბავშვებში კოვიდის აქამდე ცნობილი ერთ-ერთი გართულების, მულტისისტემური ანთებითი სინდრომის (MIS-C) ერთ-ერთი გამოვლინება იყოს.

მოკლედ, ჯერჯერობით ამ შემთხვევებთან დაკავშირებით ბევრი რამ უცნობია. მშობლებს აფრთხილებენ, რომ ყურადღებით იყვნენ და არ გამორჩეთ ბავშვებში სიყვითლის გამოვლინება და ასეთის შემთხვევაში დროულად მიმართონ სამედიცინო დახმარებას“, - წერს მაია ბუწაშვილი.

ᲛᲐᲠᲘ ᲛᲘᲓᲐᲡᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ EOS DATA ANALITICS-ᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

ᲮᲐᲢᲘᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 555 18 48 88

ფერმერთა ასოციაციის ინფორმაციით, 16 მაისიდან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია გლობალურ პროვაიდერთან EOS Data Analytics-თან (EOSDA) თანამშრომლობით, ფერმერებს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ სატელიტურ გამოსახულებას შესთავაზებს.

მათივე ინფორმაციით, ფერმერები სატელიტურ სისტემაზე დაფუძნებული მადალი სიზუსტის სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოების დახმარებით, საკუთარ მეურნეობებში წარმოებული პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებას და ფერმერული საქმიანობის გაძლიერებას შეძლებენ. თანამშრომლობის ფარგლებში, EOS Crop Monitoring პლატფორმაზე საქართველოს ფერმერთა ასოციაციას ექნება პროფესიონალური გამოწერის პაკეტი, რომელსაც სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ პირებს შესთავაზებს. ასოციაციის მხრიდან, მომსახურების ფარგლებში, უზრუნველყოფილი იქნება სასოფლო-სამეურნეო კონსულტაციების მიწოდება და ფერმერთა ტექნოლოგიური ცოდნის განვითარება.

„საქართველოს ფერმერთა ასოციაცია ორიენტირებულია ფერმერთა განათლებაზე, მათთვის საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებისა და სამაგალითო ტექნოლოგიების შეთავაზებაზე. EOS Data Analytics-თან პარტნიორობა საშუალებას გვაძლევს, ფერმის მართვის პროცესში მივიღოთ პრაქტიკული, ეკონომიკურად ეფექტიანი და ე.წ. ჭკვიანი გადაწყვეტილებები, რაც აგროსექტორისთვის ხელმისაწვდომს გახდის ეკონომიკურად ეფექტიან და მდგრად ტექნოლოგიურ პლატფორმებს“, - აღნიშნა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ თორიამ.

EOSDA არის ხელოვნური ინტელექტით მართული სატელიტური გამოსახულებითი ანალიტიკის სანდო, გლობალური პროვაიდერი. კომპანია მუშაობს მსოფლიო მასშტაბით, თანამშრომლობს სახელმწიფო, კომერციულ და სამეცნიერო ორგანიზაციებთან. კომპანიის ტექნოლოგიების მასშტაბი მოიცავს დედამიწაზე დაკვირვების საშუალებებს და ხელს უწყობს გონივრული გადაწყვეტილებების მიღებას 22 ინდუსტრიაში, მათ შორის სოფლის მეურნეობის, სასარგებლო წიაღისეულისა და ნავთობის მოპოვების მიმართულებით. ამგვარად, EOSDA წინასწარ ამჟღავნებს პლანეტის მომავალ გამომწვევებს.

„ფერმერთა ასოციაციასთან თანამშრომლობა გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, ვიმუშაოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების მიმართულებით. ასოციაციის როლი ფერმერთა გაძლიერებაში უმნიშვნელოვანესია. ჩვენ გვაერთიანებს საერთო ძალისხმევა, უფრო მეტი მდგრადობა შევძინოთ ფერმერულ საქმიანობას“, - აღნიშნა EOS Data Analytics-ის სტრატეგიული პარტნიორობის მიმართულების დირექტორმა ბრიჯეშ ტოპილმა.

17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღეა

მთავარი მიზანი - შვილების აღზრდა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

30 წელზე მეტია გასული იმ დღიდან, როცა სპეციალობით მათემატიკოსმა თემურ დავითაძემ ცხოვრების მეგზურად შუახევის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ეთერ აბუსელიძე აირჩია

საქვეყნოდ ცნობილ სამეურნეო ხელმძღვანელ ზაბით დავითაძის შთამომავალს ერთი რამ ჰქონდა მიზნად - გაეგრძელებინა წინაპრების გზა, ჩამდგარიყო ქვეყნისა და ხალხის სამსახურში. იმ დროს, მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, ცხოვრება ჭირდა. დედა-შვილი, ოჯახში ახლად შემოსული რძალი გულს არ იტეხდნენ და მომავალს იმედის თვალით უყურებდნენ. ჯერ თამაზი გაჩნდა ოჯახში, რომელსაც ბებია მზრუნველობას არ აკლებდა, მას თალიკო მოჰყვა. მაშინ მასწავლებლის ხელფასი დიდი არ იყო, მაგრამ ორი შვილის მამა ოჯახისთვის თავს არ ზოგავდა, ზაფხულის არდადეგების პერიოდში დამატებით სამუშაოს არ თაკილობდა. მის მარჯვენს ეჩოს და ნიჩბის ხმარება ერთნაირად ეხერხებოდა. იმხანად მისი თანასოფლელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ცნობილი პოეტი შოთა ზოიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო. მისი და ბათუმის მერის ასლან სმირბას ხელდასმით, ახალდაბაში საშუალო სკოლის მოძველებული შენობა ახლით ჩაანაცვლეს. თემურმა თანაკლასელი, პოეტი ზურაბ ზოიძე საქმეში ჩარია და სამშენებლო სამუშაოებში თანასოფლელებთან ერთად თავადაც მონაწილეობდა.

1990 წელს საშუალოდ გადაკეთებული ახალდაბის სკოლას ზურაბ უსტიაშვილი ედგა სათავეში. მისი მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში თეიმურაზ დავითაძე იყო. 2005 წელს, როცა ზურაბმა სკოლიდან წასვლა ისურვა, პედაგოგიურმა კოლექტივმა არჩევანი თემურ დავითაძეზე შეაჩერა. 2007 წელს უკვე თემური იყო ინიციატორი, რომ თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლის შენობა აეგოთ. დირექტორი მარტო სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებით არ შემოფარგლულა. სკოლა აქტიურადაა ჩართული ქვეყანაში მიმდინარე სასკოლო რეფორმაში. აქ დასაქმებული ოცამდე პედაგოგიდან უმრავლესობა სერტიფიცირებულია.

სოფელი განათლების სისტემის ხელმძღვანელობისგან მეტს ითხოვს. თემური ცდილობს ყველა სიახლის წამომწყებთა რიგებში იყოს.

ქვეყნის ენერგოსისტემის დიდი შენაძენია 178 მეგავატი სიმძლავრის «შუახევიჰესი». სადაწნეო გვირაბი, გამშვები სადგური სოფელ ახალდაბის ტერიტორიაზეა. მის მშენებლობას, როგორც ყველა სხვა სიახლეს, მოწინააღმდეგენიც მრავლად ჰყავდა. ამბობდნენ, რომ მიწისქვეშა გვირაბი ახალდაბაში ცხოვრების ნორმალურ რიტმს დაარღვევდა. თემური და იმ დროს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები ზურაბ, გურამ ზოიძეები თანასოფლელებს მშენებარე ჰესის სიკეთეში არწმუნებდნენ. ათეულობით ახალდაბელმა სამუშაო გაიჩინა. თითქმის ოთხი წლის განმავლობაში, სოფელში თვეში საშუალოდ 120-130 ათასი ლარის შემოსავალი შემოდიოდა ხელფასის, მიწის გამოსყიდვის თანხის სახით. მრავალმა სოფელში შესანიშნავი საცხოვრებელი მოიწყო, ქალაქში ბინები შეიძინა. თემური ისევ წინაპრების დატოვებულ სახლში აგრძელებს ცხოვრებას.

- სიხარბე, სხვის ქონებაში ხელის ფათური, არამი ლუკმა არავის შერჩენია. მე ბაბუის ანდერძის ერთგული ვრჩები. ის იმ დროს მუშაობდა აჭარის მთავრობაში, როცა ცრუ ბრალდებებით მრავალი ადამიანი სასიკვდილოდ ან საციმბიროდ გაიმეტეს. მან მშვიდად განისვენა მშობლიურ მიწაში, - ამბობს თემური.

ახალდაბა და ახალდაბელები 21-ე საუკუნეშიც ერისა და ქვეყნის სამსახურში დგანან. წუთისოფელში აღარ არიან შოთა და ზურაბ ზოიძეები - ორი პოეტი ერთი ოჯახიდან. თემური და მისი თაობის ახალდაბელები ცდილობენ უკვდავყონ მათი სახელები, ღვაწლი დაუფასონ ღირსეულ თანასოფლელებს. სკოლის დირექტორის ინიციატივით, პედაგოგისა და მოსწავლეების თანადგომით, სოფლის კლუბში შემოქმედებითი საღამო გადაუხადეს ზურაბ ზოიძეს. 80 წელს მიტანებულ შოთა ზოიძეს პედაგოგი ლამარა ხალვაში მოსწავლეებთან ერთად ბათუმში, ოჯახში ეწვია, მასთან საუბარი ფირზე გადაიღეს და სოფელს, სკოლას სამახსოვროდ დაუტოვეს შემოქმედებითი საღამო - «ორი პოეტი ერთი ოჯახიდან». დიდი ტკივილი იყო თემურისთვის თანაკლასელის უდროოდ გარდაცვალება. გულმა უღალატა, ყველაზე დიდი წუხილი თანაკლასელმა თემურ დავითაძემ გამოთქვა. თანასოფლელის სახელისა და საქმის უკვდავსაყოფად ინიციატივით გამოვიდა, ახალდაბის საჯარო სკოლას ზურაბ ზოიძის სახელი მიკუთვნებოდა. თემურმა და პედაგოგიურმა კოლექტივმა წამოწყებული საქმე არ მიატოვეს. შუახევის მუნიციპალიტეტის ახლანდელი ხელმძღვანელობის თანადგომით, მალე საქმე სასიკეთოდ გადაწყდება.

ქართველმა ერმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა.

- ოჯახის მთავარ მიზნად შვილების აღზრდას მივიჩნევ, ზოგიერთები ძვირად ღირებულ ავეჯსა და ტრანსპორტში რომ ყრიან, ჩვენ შვილების სწავლა-განათლებას ვახმართ თანხასაც და შესაძლებლობასაც, - გვეუბნება თემურის მეუღლე ეთერი, - სხვისი შვილების აღმზრდელი თავად უნდა იყოს მაგალითის მიმცემი სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებაში.

კარგი შვილები აღზარდეს თემურმა და ეთერმა. თამაზი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დოქტორანტია. მისი სადოქტორო დისერტაციის თემა ერთობ საინტერესოა - «21-ე საუკუნის გამოწვევები საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების ფონზე». მის უნარს, საკვლევი თემის სწორ ანალიზს დადებითად აფასებენ როგორც მეცნიერი ხელმძღვანელი, ისე ცნობილი ქართველი ისტორიკოსები და საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებზე მომუშავე პოლიტოლოგები.

თემური სპეციალობით მათემატიკოსია, მაგრამ საზოგადოებას არაერთი ღონისძიება ახსოვს მისი ინიციატივით, რომელიც ქართული ენის დაცვას ეძღვნებოდა. ამ ორომტრიალში ქალიშვილი თალიკოც იყო ჩართული. დღეს იგი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დოქტორანტია.

- მშობლების თანადგომამ, მეცნიერი ხელმძღვანელის ფასდაუდებელმა ამაგმა ჩემს ოცნებას მწვანე შუქი აუნთო. ათასწლეულებს გამოტარებული შოთას, ილიას, აკაკის, გალაკტიონის ენა გადაგვარების, უცხოური სიტყვებით მისი დაბინძურების პროცესშია. ყველაზე მეტად ჩვენი პოლიტიკოსების, თუნდაც ცალკეული ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიების დამოკიდებულება მაშფოთებს. ენა დედაა ერისა. მას ჩვენ თუ არა, სხვა ვინ მოუვლის. ხშირად ვკითხულობ გაზეთ «აჭარას». როგორც ოტია იოსელიანმა დაგმოძღვრათ - «სუფთა ქართულით წერთ» და ასე გააგრძელეთ, - გვითხრა თალიკომ.

თემური მალე 65 წელს მიითვლის. მას თამამად შეუძლია თქვას, რომ ლამაზად და შინაარსიანად ცხოვრობს, იღვწის, ოჯახი კი მისთვის სავანეცაა და მკაცრი გამოცდის ჩამტარებელიც, რომელსაც ყოველთვის წარმატებით აბარებს. მან კარგად იცის, რომ ძლიერი ოჯახი ძლიერი სახელმწიფოა.

შეხვედრები - სხალთასა და ფუშრუკაულში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძის ინიციატივით, სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება. ამჯერად ისინი ხულოს მუნიციპალიტეტის სხალთისა და ფუშრუკაულის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაიმართა და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მირიან ქათამაძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, მერის პირველმა მოადგილე ნადიმ ვასაძემ უპასუხეს მოსახლეობის წარმომადგენლების შეკითხვებს, მოისმინეს სურვილები, რომელიც სოფლების ცენტრების კეთილმოწყობას, სასმელი და სარწყავი სისტემების მოწესრიგებას, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს, სამთო სეზონისთვის მზადებას, დასაქმებას ეხებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეკითხვებს უპასუხეს და დაგეგმილ პროექტებსა და პროგრამებზე ისაუბრეს.

ხანძარი - ჯაბნიძეებში

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

დღისით, როცა ოჯახის წევრები მინდორში სამუშაოდ იყვნენ გასულნი, ხანძარი გაჩნდა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაბნიძეების მკვიდრის შადიმან ახმედის ძე მუკუტაძის საცხოვრებელ სახლში.

ხანძარმა რამდენიმე წუთში გაანადგურა სახლი და დამატებითი სათავსი. 6-წევრიანი ოჯახი ცარიელ-ტარიელი დარჩა. დაზარალებულები დროებით მეზობლებმა შეიკედლეს.

- შადიმანსა და მისი ოჯახის წევრებს მთელი სოფელი ალალ, შრომისმოყვარე ადამიანებად ვიცნობთ. ხანძრის ლიკვიდაციისთანავე, ტანსაცმელი, სურსათი შევაგროვეთ. სოფელში გარკვეული რაოდენობის თანხაც შეგროვდება, მაგრამ ზარალი მაინც ვერ ანაზღაურდება. ხელისუფლების თანადგომით, იავარქმნილ ოჯახს რამდენიმე თვეში საკუთარი ჭერი ექნება, - გვითხრა ჯაბნიძეების საჯარო სკოლის დირექტორმა ჯემალ ივანაძემ.

„დაე, პუტინმა თავად იპოვოს გზა სახის შესანარჩუნებლად“

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება ცეცხლის შეწყვეტის მიზნით რუსეთისთვის ტერიტორიების დათმობას გამორიცხავს. ამის შესახებ მან Bloomberg-თან ინტერვიუში განაცხადა.

„მისთვის სახის შესანარჩუნებლად გზების ძიება, უბრალოდ, არასწორი მიდგომაა. დაე, პუტინმა თავად იპოვოს გზა სახის შესანარჩუნებლად“, - განაცხადა კულებამ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინა ცდილობს, აღადგინოს სრული ტერიტორიული მთლიანობა, მათ შორის დონბასის ოკუპირებული ტერიტორიებისა და ყირიმის ჩათვლით.

ცნობისთვის: *გამოცემა Politico წერდა, რომ ზოგიერთი დასავლელი ლიდერი შეშფოთებულია ომში უკრაინის გამარჯვების შესაძლო შედეგებით და შიშობს, რომ რუსეთი განიცდის „დამცირებას“, რამაც შესაძლოა, არაერთი ახალი პრობლემა შექმნას.*

ამირან ბურიელიძე

„კვარაცხელია? გენიალური ფეხბურთელი ავიყვანეთ!“

„ნაპოლის“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტმ რადიო Kiss Kiss Napoli-სთან ინტერვიუში ლორენცო ინსინიესთან დამშვიდობებასა და ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ ისაუბრა. ნეაპოლური გუნდის თავკაცს calcionapoli24 ციტირებს:

„კვარაცხელია? გენიალური ფეხბურთელი ავიყვანეთ! ის ძლიერი მოთამაშეა, კვალიფიციურია, შეზღუდულ სივრცეში კარგად შეუძლია მოქმედება. ერთ-ერთი იმათაგანია, ვინც მოედანზე სწორ გადაწყვეტილებებს იღებს, შესანიშნავია არჩევანის გაკეთებაში. ასეთი ფეხბურთელის საკუთარ გუნდში ყოფნა მწვრთნელს უნდა. ბევრს დარბის, აქვს სისწრაფე, ტექნიკა, გოლების გატანა ეხერხება“.

ამირან გურიელიძე

რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილები... 392,5%-ით გაიზარდა

ერონული ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წლის აპრილში უცხოეთიდან საქართველოში სულ 308,104 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, აქედან 132,979 მლნ აშშ დოლარი რუსეთზე მოდის, და ეს მაშინ, როდესაც წინა თვეში რუსეთიდან საქართველოში - 27,001 მლნ აშშ დოლარი, თებერვალში - 21,944 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იანვარში - 22,382 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა.

რაც შეეხება ტოპ-10 ქვეყანას, საიდანაც ამა წლის აპრილში ყველაზე მეტი თანხა გადმოირიცხა, ასე გამოიყურება: რუსეთი - 132,979 მლნ აშშ დოლარი; იტალია - 33,396 მლნ; აშშ - 25,019 მლნ; ყაზახეთი - 20,035 მლნ; საბერძნეთი - 18,647 მლნ; ისრაელი - 16,206 მლნ; გერმანია - 11,968 მლნ; თურქეთი - 8,103 მლნ; აზერბაიჯანი - 4,969 მლნ; ესპანეთი - 4,708 მლნ აშშ დოლარი.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

„აზოვსტალის“ დამცველების გადასარჩენად ჩართულია ყველა შესაძლო საერთაშორისო ორგანიზაცია და, პრაქტიკულად, მსოფლიოს ყველა ლიდერი, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თანხმობას არ იძლევა, - უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარმა განაცხადა. მისი მტკიცებით, ქვეყნის ხელისუფლება ბევრს აკეთებს „აზოვსტალის“ დამცველების გასათავისუფლებლად, მაგრამ ეს არის სამხედრო ოპერაცია და მისი დეტალების გამჟღავნება არ შეიძლება. „ჩვენ შევძელით ამის გულწრფელად თქმა ახლობლებისთვის, რადგან მათ აქვთ ამის ცოდნის უფლება. შეთავაზებები, რომლებიც ძალიან გავრცელებულია საზოგადოებაში - „მოდით, გავაკეთოთ ეს, მოდით, გავაკეთოთ ის“ - ფაქტობრივად, უკვე გაკეთდა, უბრალოდ, პუტინი არ გვაძლევს თანხმობას, რომ შევძლოთ ჩვენი დამცველების განთავისუფლება“, - განმარტა მილიარმა.

* * *

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ცნობით, რუსული ძალები იზიუმის რაიონში კონცენტრირებული ქვედანაყოფების გამოყენებით შეტევითი მოქმედებებისთვის ემზადებიან. „მტერი კონცენტრირებულია დონეცკის მიმართულებით. სლობოჟანსკისკენ მოწინააღმდეგე ცდილობს, შეაკავოს უკრაინის თავდაცვის ძალების შეტევა ქალაქ ხარკოვის ჩრდილოეთით და ხელი შეუშალოს მათ სახელმწიფო საზღვრამდე მისვლას. მტერი იზიუმის რაიონში კონცენტრირებული ქვედანაყოფების გამოყენებით შეტევითი მოქმედებებისთვის ემზადება“, - ნათქვამია გენშტაბის ანგარიშში. მისივე ცნობით, აღმოსავლეთ ოპერაციის ზონაში რუსეთის ავიაციამ სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურა დააზიანა. „ხარკოვის მიმართულებით მოწინააღმდეგის ძირითადი ძალისხმევა მიმართულია პოზიციების შენარჩუნებაზე და რუსეთის ფედერაციასთან უკრაინის სახელმწიფო საზღვრისკენ ჩვენი ჯარების დაწინაურების აღკვეთაზე“, - აცხადებენ გენშტაბში და იუწყებიან, რომ რუსული ძალები საარტილერიო ცეცხლს უხსნიდნენ სამოქალაქო ინფრასტრუქტურას დოვჰენკეს, რუსკი ტიშკის, ტერნოვასა და პეტრიოვკას დასახლებებში. „დონეცკის მიმართულებით რუსი დამპყრობლები ცეცხლს ხსნიდნენ ყველა სახის იარაღიდან ჩვენი ჯარისკაცებისა და სიმაგრეების განადგურების მიზნით. ლიმანის, ბახმუტისა და კურახივის მიმართულებით მტერი აგრძელებს შეტევას, ბრძოლები გრძელდება“, - აცხადებენ გენშტაბში. ავდიივკას მიმართულებით, უკრაინული ძალების შეტევის შედეგად მოწინააღმდეგემ დანაკარგები განიცადა და ადრინდელ პოზიციებზე გადაინაცვლა. „მარიუპოლში რუსული ძალები აგრძელებენ მასობრივ საარტილერიო და საავიაციო დარტყმებს. ოკუპანტების ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო „აზოვსტალის“ ქარხნის ტერიტორიაზე ჩვენი ქვედანაყოფების ბლოკირებასა და ზარალის მიყენებაზე“, - აცხადებენ გენშტაბში. უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ხერსონის ოლქის ჩერნობაევკას რაიონში რუსეთის პოზიციებს დაარტყეს, მოწინააღმდეგის მიერ განცდილი დანაკარგები ზუსტდება. უკრაინელმა სამხედროებმა გასული დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის 11 საჰაერო სამიზნე გაანადგურეს. „ლიკვიდირებულია ორი ვერტმფრენი (KA-52 და Mi-28), ოპერატიულ-ტაქტიკური დონის შვიდი უპილოტო საფრენი აპარატი და ორი რაკეტა“, - აცხადებენ გენშტაბში. უკრაინულმა ძალებმა გასული დღის განმავლობაში დონეცკისა და ლუგანსკის მიმართულებებით მოწინააღმდეგის 17 შეტევა მოიგერიეს. „განადგურდა მტრის 3 ტანკი, ერთი საარტილერიო სისტემა, 6 ერთეული საბრძოლო ჯავშანტექნიკა“, - აცხადებენ გენშტაბში.

* * *

იაკოვ განძიუკის სახელობის 59-ე ცალკეული მოტორიზებული ქვეითი ბრიგადის არტილერისტებმა მტრის ტექნიკა გაანადგურეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. რუსი ოკუპანტების კოლონაზე თავდასხმის ვიდეო ბრიგადის ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნდა. „რუსული კოლონა დანიშნულების ადგილამდე ვერ მივიდა. ისევ დააბინძურეს ჩვენი ნაყოფიერი მინდვრები თავისი ჯართით. ვერანაირად ვერ პოულობენ სახლის გზას, ამიტომ, ჩვენები აჩვენებენ მათ ერთადერთ სწორ - რუსული გემის მიმართულებას“, - აცხადებენ ბრიგადაში.

* * *

პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი დარწმუნებულია, რომ ოკუპანტები უკრაინაში ჩიხში არიან და მათი „სპეციალური ოპერაცია“ გაკოტრდა. „ოკუპანტებს დღემდე არ სურთ იმის აღიარება, რომ ჩიხში არიან და მათი ე. წ. სპეციალური ოპერაცია უკვე გაკოტრდა, მაგრამ აუცილებლად დადგება მომენტი, როდესაც უკრაინელი ხალხი აიძულებს დამპყრობლებს, აღიარონ რეალობა“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, უკრაინა აგრძელებს საერთაშორისო აქტივობას იმისთვის, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გამკაცრდეს და მისი კიდევ უფრო იზოლირება მოხდეს. „ვმუშაობთ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებაზე. გვჭირდება, რომ პარტნიორებმა ყოველკვირეული გადაწყვეტილებები მიიღონ, რომლებიც ზღუდავს რუსეთის კავშირებს მსოფლიოსთან. ოკუპანტებმა უნდა იგრძნონ მათთვის ომის ფასის ზრდა - იგრძნონ მუდმივად. ახლა, პირველ რიგში, ეს არის ნავთობის ემბარგო. როგორც არ უნდა შეეცადოს მოსკოვი ამ გადაწყვეტილების ჩაშლას, ევროპის რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების დრო იწურება და ეს არ შეიცვლება“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძე

გახსენება

ნოდარ თავართქილაძე



71 წლის გზასავალზე მრავალ ადამიანთან მქონია ურთიერთობა. მეგობარი, თანამდგომი, თანამგრძნობი არ მომკლებია. ჩემი ურთიერთობა ნოდარ თავართქილაძესთან მაშინ დაიწყო, როცა შუახევის რაიონულ გაზეთ «დროშის» რედაქტორის მოადგილე გაზეთ «საბჭოთა აჭარის» საკუთარ კორესპონდენტად დამნიშნეს აჭარის მთიანეთში. ნოდარი იმხანად პარტიის ხულოს რაიკომში მუშაობდა. მისი თბილი, გულისხმიერი, მეგობრული დამოკიდებულება ვიგრძენი.

30-ზე მეტი წელი ერთად გამოვიარეთ. ანზორ ბოლქვაძის, შოთა აბაშიძის, თემურ ბოლქვაძის, ასლან გელაძის, ბესიკ ბაუჩაძის, ანზორ თავართქილაძის, რევაზ მიქელაძის მსგავსად ნოდარი ჟურნალისტს გვერდით მედგა, ყოველთვის ყველაფერზე ობიექტურ, ამომწურავ ინფორმაციას მაწვდიდა. ურთიერთობამ მეტი დატვირთვა და შინაარსი შეიძინა, როცა ნოდარი ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ხულოს მუნიციპალიტეტის მაშინდელი გამგებელი თემურ ბოლქვაძე და ნოდარი თითქმის ყველა ღონისძიებაზე მიხმობდნენ. მრავალი ოჯახი იყო ჩვენი მასპინძელი სოფლებსა და კურორტების ბეშუმის, ბახმაროს შემოგარენში, ადიგენის მუნიციპალიტეტის მოსაზღვრე იალაღებზე.

თემური ყველა გზასა და ბილიკს იცნობდა, ნოდარის კიდევ ყოველ სოფელში ნაცნობი, მეგობარი არ ელოდა. თანარაიონელებთანაც შეეძლო ურთიერთობების აწყობა და ხულოს საპატიო სტუმრებსაც ჩინებულად მასპინძლობდა. სუფრის გაძღოლის ნიჭიც მომადლებული ჰქონდა. ამ წლებში ხულოს ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი ხელოვანები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. ბაიარ შაჰინი, რობერტ სტურუა, გია გულიაშვილი, დათო ტურაშვილი, ტარიელ ხარხელაური, ოტია იოსელიანი (ხულოს თეატრში მისი პიესა «ბუნტი საბუიეში» დაიდგა), ფრიდონ ხალვაში, ზურაბ გორგილაძე იყვნენ მისი თანამესუფრენი.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ნოდარ თავართქილაძის გარდაცვალება. სიკვდილი უდროო და დროული არ არსებობს, ის თავად ირჩევს დროს. ნოდარს მაშინ უწია სიკვდილმა, როცა სიბრძნის ასაკში მყოფს ერის, ქვეყნისა და მშობლიური კუთხის სასარგებლოდ ბევრის გაკეთება შეეძლო, თუმცა ცხოვრების, შრომის, ადამიანებთან ურთიერთობის რა გზაც გამოიარა, ანგარიშგასაწევი, დასამახსოვრებელი, მეგობრებისა და ოჯახისთვის ნუგეშის მომცემი იქნება.

ნოდარი მოწუწუნე, ცხოვრებაზე გაბოროტებული არავის გვინახავს მიუხედავად იმისა, რომ ამის საფუძველი ჰქონდა, მაგრამ მისი გონება, განწყობა მუდამ სიკეთისთვის იყო გამიზნული.

დრო მიქრის. ნოდარის გარეშე ერთი წელი გავიდა. სხვებმა თავისი თქვან, მე კი მისი სიკვდილით ხულო დამიცარიელდა. ვეღარ ვხედავ თეატრის წინ, ეზოში, ძელსკამზე ჩამომჯდარს, სუფრასთან ტკბილმოუბარ თამადას, თანამეინახეს.

ნოდარს უყვარდა ხულო, მეგობრები, მარად საფიცარი საქართველო. იგი გვიყვარდა მეგობრებს.

ნოდარ, გვახსოვხარ, გვენატრები!

ოთარ ცინარიძე

სამშენებლო კომპანია
შპს „გ2 ბილდინგის“

განცხადება

ბათუმში, ლერმონტოვის ქ. №141-ში 2008 წელს შეჩერებული მშენებარე ობიექტის მართვაში აღებასთან დაკავშირებით

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და შპს „გ2 ბილდინგს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს „გ2 ბილდინგის“ ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს შპს „ბათუმის ღვინის კომპანიის“ მიმართ ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. №141-ში აშენებულ კომპლექსში მდებარე ინდივიდუალურ საცხოვრებელ ბინებთან დაკავშირებით არსებული მოთხოვნების მქონე კრედიტორთა გამოვლენა და შპს „ბათუმის ღვინის კომპანიას“ და მათ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის თანხის სრულად გადახდის საფუძველზე, საკუთრების უფლების გადაცემა ან კრედიტორებთან შეთანხმებით, მათთვის ამავე ხელშეკრულებების საფუძველზე გადახდილი ნასყიდობის თანხის დაბრუნება ან სხვა ალტერნატიული უძრავი ქონების საკუთრების უფლებით გადაცემა.

საცხოვრებელ ბინებთან დაკავშირებით მოთხოვნების უფლების მქონე კრედიტორებმა შპს „გ2 ბილდინგის“ კანცელარიაში (მის: ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №107) უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. შპს „ბათუმის ღვინის კომპანიას“ და ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის გაფორმებული ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის, ან წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების დედანი;
2. შპს „ბათუმის ღვინის კომპანიას“ და ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის გაფორმებული ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის, ან წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადახდილი ნასყიდობის საფასურის დამადასტურებელი დოკუმენტები;
3. შპს „ბათუმის ღვინის კომპანიას“ და ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის გაფორმებული ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის, ან წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოებული კორესპონდენცია.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაკავშირება შესაძლებელია შემდეგ ნომერზე: 591 111 222.

სამშენებლო კომპანია
შპს „გ2 ბილდინგი“

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 16/05/22, 21 ⁰⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ბალეტის სკოლა ისევ მოწოდების სიმაღლეზეა

ორწლიანი პაუზის შემდეგ, ბათუმელი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლის აღსაზრდელები

„ბალეტის საღამოს“ პირველ განყოფილებაში ვიხილეთ გამოსაშვები კლასის მოსწავლეები სადიპლომო ნამუშევრით. სავსე

დარბაზის, მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე წარიმართა ბახის მუსიკაზე შექმნილი თანამედროვე ბალეტი. ეს იყო ულამაზესი კომპოზიცია, რომელიც მერვეკლასელებმა წარმატებულად წარმოადგინეს. ქორეოგრაფია მთლიანად ეკუთვნის გამოსაშვები კლასის კლასიკური და თანამედროვე ცეკვის პედაგოგს ელეონორა არჩაია-გაგუას.

მერვეკლასელებმა სადიპლომო ნაშრომის გარდა, ნატალია მარტიროსიანის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს ორი ულამაზესი ცეკვა (თავის დროზე დიდი ბალეტმაისტერების მიერ დადგმული) - „შეჰერეზადა“ და „ბოშური“.

დივერტისმენტში, რომელიც მეორე განყოფილებაში იყო წარმოდგენილი, ყველა კლასის პედაგოგების აღსაზრდელები მონაწილეობდნენ. მაყურებელმა იხილა სხვადასხვა ცნობილი ბალეტიდან აღებული ვარიაციები, საკონცერტო ნომრები და საბალეტო სცენები.

საღამოში ათობით მოსწავლე მონაწილეობდა ლამაზი და გამორჩეული კოსტიუმებით, რომლებიც დიზაინერებმა მზია ჩიკვაიძემ და ირინა გოგუაძემ შექმნეს - მათ ასზე მეტი კოსტიუმი შეკერეს.

15 წელია, ამ სკოლაში საბალეტო ხელოვნებას ასწავლის წლევანდელი გამოსაშვები კლასის პედაგოგი ელეონორა არჩაია-გაგუა. მისი აღსაზრდელები, ისევე, როგორც სხვა პედაგოგების, გამოირჩევიან მაღალი დონის საშემსრულებლო ხელოვნებით. პედაგოგი ორი წლის წინ სკოლის აღსაზრდელებთან ერთად იმყოფებოდა მასტერკლასებზე იტალიაში, რაც ემჩნევა კიდეც თითოეულ ნომერს. მაშინ ია ხუციშვილმა იქ გამართულ კონკურსში თანამედროვე ცეკვაში - პირველი, კლასიკურ ცეკვაში კი მესამე ადგილი აიღო.

საღამო, რომელიც მიჰყავდა ამავე საბალეტო სკოლის კონცერტმაისტერ რუსუდან კვახაძეს, პედაგოგებისა და ბავშვების ერთობლივი თავდაუზოგავი შრომის წყალობით, მაღალ დონეზე წარიმართა.

საინტერესო სადიპლომო ნაშრომი შემოგვთავაზეს საბალეტო სკოლის აღსაზრდელებმა, გამოსაშვები კლასის მოსწავლეებმა - ია ხუციშვილმა, ქრისტინე მახარაძემ, ლიზი რომანაძემ, სესილი მუჯირმა, ნინო ჩოგაძემ, მეგი ფუტკარაძემ. მათი გამოსვლა, ალბათ, ვერ იქნებოდა ასე წარმატებული, რომ არა იტალიის ქალაქ ფლორენციაში ჩატარებული მასტერკლასები, სადაც პედაგოგი და ამავე კლასის სამი მოსწავლე იყო მიწვეული საზაფხულო საცეკვაო კამპუსზე. მათ ასევე მონაწილეობა მიიღეს კონკურსში და - საკმაოდ წარმატებულადაც. აღნიშნული პროექტი მთლიანად დააფინანსა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ.

სცენას პირველად ეზიარა საბალეტო სკოლის ყველაზე პატარა თაობა - მოსამზადებელი ჯგუფი.

თითოეული პედაგოგის უდიდესი შრომაა ჩადებული იმაში, რაც კონცერტზე ვიხილეთ, მათ შორის არიან ნატალია მარტიროსიანი, ანი ფირცხალაიშვილი, ეკატერინე ღლონტი, სალომე კორკოტაშვილი, მზია ფუტკარაძე, მარიკა სიხარულიძე, თბილისიდან მოწვეული კლასიკური ცეკვის კონსულტანტი ლია ომიაძე-ბახტაძე, მსახიობის ოსტატობის და რიტმიკის პედაგოგი მანანა ხელაია, გამოსაშვები კლასის კონცერტმაისტერი სვეტლანა ურუშაძე... საღამოს სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი კი სკოლის დირექტორი ირმა მსხალაძე გახლდათ.

- ეს საბალეტო სკოლა ერთ-ერთია მათ შორის, ვინც კლასიკურ ხელოვნებას ძალიან ლამაზად ემსახურება. მადლობა ამისთვის. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ სკოლას, რომელიც უდიდესი ბალერონის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელს ატარებს, აკლია ბალერინები, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ, რომელმაც სამინისტროს სახელით ნიჭიერი თაობების აღზრდაში

შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა როგორც სკოლა, ისე გამოსაშვები კლასის პედაგოგი ელეონორა არჩაია-გაგუა.

- იძულებითი პაუზის შემდეგ შევძელით ის, რომ მოვამზადეთ პრემიერა. პანდემიის დროს არ შეგვიჩერებია მუშაობა, მაგრამ ონლაინმუშაობა არაა საკმარისი. თუმცა, ბავშვები რომ ფორმაში გვყოლოდა, ასეთი მეცადინეობაც აუცილებელი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, გავბედეთ და დღეს საპრემიერო ჩვენებაზე მოვიწვიეთ მაყურებელი. ვფიქრობ, ყველაფერმა კარგად და ემოციურად ჩაიარა. პრემიერას წინ უძღოდა მასტერკლასები იტალიაში, თბილისიდან მოვიწვიეთ მაღალი კლასის სპეციალისტი, რომ უფრო დახვეწილად, პროფესიულ დონეზე წარმოჩენილიყო ყველაფერი, - გვითხრა ბალეტის სკოლის დირექტორმა ირმა მსხალაძემ.

- პანდემიის დროს ძალიან რთული ამოცანის წინაშე დავდექით. ბევრი ვიშრომეთ იმისთვის, რომ ასეთი შედეგისთვის მიგვეღწია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მაღალი დონის მასტერკლასებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. - გამოცდილებას გაძლევს, ძალიან ბევრ ნიუანსს გასწავლის, თანამედროვე ცეკვაში ეს ბევრს ნიშნავს. მომავალში მხოლოდ ორი ჩემი მოსწავლე ამთავრებს სკოლას, ამასთან ერთად, მეყოლება პატარები, რომლებთანაც, რა თქმა უნდა, მთელი დატვირთვით ვიმუშავებ. მადლობა განათლებისა და კულტურის სამინისტროს ჩემი შრომის დაფასებისთვის. - გვითხრა ელეონორა არჩაიამ.

5 ივნისს თბილისში ტარდება ჭაბუკიანის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ქორეოგრაფიული ფესტივალი, სადაც ბალეტის სკოლის 33 აღსაზრდელი მიიღებს მონაწილეობას კლასიკურ, თანამედროვე და სახასიათო ცეკვების ნომინაციაში.

აქვე ვიტყვით, რომ ბალეტის სკოლაში უკვე დაწყებულია საბუთების მიღება. მიიღებიან 7-8 წლის გოგონები და ვაჟები. შერჩეული ბავშვები ჩაირიცხებიან მოსამზადებელ ჯგუფებში.

ანეტა ქედელიძე საქართველოს ჩემპიონია

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი 10 და 16 წლამდე ასაკის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გაიმართა

ორივე ასაკის კატეგორიაში აჭარიდან შვიდი მოჭადრაკე მონაწილეობდა: ანეტა ქედელიძე, მარიამ ცეცხლაძე, ლულუ დიასამიძე, შოთა დოლიძე, მარიამ კალანდაძე, გიორგი ჭანტურია, რატი დიასამიძე.

10 წლამდე გოგონათა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა ანეტა ქედელიძემ, რომელიც 9-დან 7,5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა და საქართველოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. მისი მწვრთნელია თენგიზ დიდმანიძე.

16 წლამდე გოგონათა შორის მარიამ ცეცხლაძემ 6,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყო, კოეფიციენტით კი მეოთხე ადგილზე გავიდა.

ვულოცავთ გოგონებსა და მათ მწვრთნელებს ამ წარმატებას.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემ ბლიც-ტურნირს უმასპინძლა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციის თანამშრომლობის ფარგლებში საჭადრაკო ბლიც-ტურნირი გაიმართა, რომელიც ევროპის დღეებს მიეძღვნა. საინტერესო ტურნირს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემ უმასპინძლა

ღონისძიებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით გაიმართა, 18 წლამდე ჭაბუკები და გოგონები მონაწილეობდნენ.

7-დან 6 ქულით ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ ლუკა მახარაძე, ნათია ვასაძე და დემეტრე გოგიაშვილი.

ტურნირის ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი და სამახსოვრო საჩუქრები, პრიზიორთა სამეულში გასულებს კი დამატებით - თასები და ფასიანი საჩუქრები.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა